

შპს „ვიჯი“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგებები

სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძვლები.....	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	12
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	13
5. ამონაგები	17
6. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება.....	17
7. გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები.....	17
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი.....	18
9. ფინანსური ხარჯი, წმინდა	18
10. ძირითადი საშუალებები	19
11. იჯარები.....	19
12. მარაგები	20
13. საგადასახადო აქტივები.....	20
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	21
15. ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები.....	22
16. მიღებული სესხები.....	23
17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	23
18. წინა პერიოდის რეკლასიფიკაცია	24
19. პირობითი ვალდებულებები.....	24
20. დაკავშირებული მხარეები.....	24
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	25
22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	25

მმართველობის ანგარიშგება	34
--------------------------------	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ვიჯის“ ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ვიჯის“ (შემდგომში - „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, რომელიც მოიცავს ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში, „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოექცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; გვგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2020 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2020 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე – მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

17 სექტემბერი, 2021 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ვიჯის“ ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ვიჯის“ (შემდგომში - „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, რომელიც მოიცავს ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში, „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოწვრილ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2020 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2020 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:



დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

17 სექტემბერი, 2021 წელი

შპს „ვიჯი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019*
ამონაგები	5	27,945,460	24,384,549
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	6	(21,611,131)	(18,934,379)
საერთო მოგება		6,334,329	5,450,170
სხვა შემოსავალი		121,075	172,548
გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები	7	(3,687,415)	(3,631,228)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	8	(1,211,346)	(1,133,367)
საოპერაციო მოგება		1,556,643	858,123
ფინანსური ხარჯი, წმინდა	9	(98,310)	(23,625)
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი, წმინდა		(374,370)	(62,809)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		1,083,963	771,689

* წინა წლის რეკლასიფიკაცია შეგიძლიათ იხილოთ მე-18 შენიშვნაში.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 17 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი	_____	დავით ქალდანო
ფინანსური დირექტორი	_____	მარი გელაძე

შპს „ვიჯი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ლარიში)

	შენიშვნა	2020	2019*
ამონაგები	5	27,945,460	24,384,549
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	6	(21,611,131)	(18,934,379)
საერთო მოგება		<u>6,334,329</u>	<u>5,450,170</u>
სხვა შემოსავალი		121,075	172,548
გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები	7	(3,687,415)	(3,631,228)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	8	(1,211,346)	(1,133,367)
საოპერაციო მოგება		<u>1,556,643</u>	<u>858,123</u>
ფინანსური ხარჯი, წმინდა	9	(98,310)	(23,625)
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი, წმინდა		(374,370)	(62,809)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		<u><u>1,083,963</u></u>	<u><u>771,689</u></u>

* წინა წლის რეკლასიფიკაცია შეგიძლიათ იხილოთ მე-18 შენიშვნაში.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 17 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ფინანსური დირექტორი

დავით ქალდანი

მარი გელაძე

შპს „ვიჯი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	504,377	646,492
აქტივების გამოყენების უფლება	11	479,105	684,087
არამატერიალური აქტივები		22,370	26,320
		1,005,852	1,356,899
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	12	4,535,433	3,318,093
საგადასახადო აქტივები	13	174,945	127,964
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	7,129,629	6,012,596
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	15	1,891,036	1,317,283
		13,731,043	10,775,936
სულ აქტივები		14,736,895	12,132,835
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		8,310,101	8,310,101
გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)		551,487	(532,476)
		8,861,588	7,777,625
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	16	629,061	766,708
საიჯარო ვალდებულებები	11	284,854	442,499
		913,915	1,209,207
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	16	278,088	284,321
საიჯარო ვალდებულებები	11	313,454	265,482
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	4,369,850	2,596,200
		4,961,392	3,146,003
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		14,736,895	12,132,835

შპს „ვიჯი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ (დაგროვილი ზარალი)	სულ
2018 წლის 31 დეკემბერი	8,310,101	(1,304,165)	7,005,936
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	771,689	771,689
2019 წლის 31 დეკემბერი	8,310,101	(532,476)	7,777,625
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,083,963	1,083,963
2020 წლის 31 დეკემბერი	8,310,101	551,487	8,861,588

შპს „ვიჯი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება დაბეგვრამდე		1,083,963	771,689
კორექტირებები:			
ფინანსური შემოსავალი	9	(103,371)	(97,574)
საექვო მოთხოვნების რეზერვის ცვლილება	14	73,036	186,488
მარაგების გაუფასურება	6	555,169	298,516
ცვეთა და ამორტიზაცია		452,743	273,121
ფინანსური ხარჯი	9	201,681	121,199
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან და ჩამოწერიდან მიღებული ზარალი		11,811	7,863
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა		374,370	62,809
ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		2,649,402	1,624,111
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(1,193,372)	(1,514,603)
მარაგების ზრდა		(1,772,509)	(1,148,734)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		1,512,475	851,299
საგადასახადო აქტივის ზრდა		(46,981)	(212,818)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		1,149,015	(400,745)
გადახდილი პროცენტი იჯარებზე	11	(45,730)	(20,836)
გადახდილი პროცენტი მიღებულ სესხებზე	16	(89,931)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		1,013,354	(421,581)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		(49,760)	(212,798)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები		26,202	41,530
მიღებული პროცენტი		103,371	97,574
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		79,813	(73,694)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის დაფარვა	16	(209,900)	-
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	11	(286,612)	(92,722)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(496,512)	(92,722)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)		596,655	(587,997)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	15	1,317,283	1,960,446
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(22,902)	(55,166)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	15	1,891,036	1,317,283

შპს „ვიჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარი)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ვიჯი“ (შემდგომში - „კომპანია“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2010 წლის იანვარში. შპს „ვიჯი“ წარმოადგენს სადისტრიბუციო კომპანიას, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკვები პროდუქტების იმპორტი და დისტრიბუცია საქართველოს მასშტაბით.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელთა სტრუქტურა შემდეგია:

- აიდინ თალიბოვი (C00551204) – 59.11%
- ილგარ თალიბოვი (C00971364) – 30.43%
- ბახტიარ ალლაჰვერდი (C00571837) – 10.46%

ზემოაღნიშნული წილები შეიცვალა 2014 წლის 18 ივნისს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით და გადანაწილდა შემდეგნაირად: აიდინ თალიბოვი (C00551204) – 69.49% , ილგარ თალიბოვი (C00971364) – 22.71%, ბახტიარ ალლაჰვერდი (C00571837) – 7.80%, თუმცა აღნიშნული ცვლილება არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, ისააკიანის ქუჩა, N1.

კომპანიის დირექტორია დავით ქაღდანის (პ.ნ. 01011030205).

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის შესაბამისადაც არის მომზადებული აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება, მოცემულია 22-ე შენიშვნაში.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანია ოპერაციებს აღრიცხავს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში (ლარი), ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს), როგორც მოეთხოვება ქართული კანონმდებლობით.

რიცხვები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არის არის აღნიშნული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანიის ბიზნესი საქართველოში. მომზადების საფუძვლის მიზანშეწონილობის დადგენისას, კომპანიის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კოვიდ-19 პანდემიის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის საქმიანობაზე მომავალში. პანდემიით გამოწვეულ შეზღუდვებს, რეგულაციებსა და რეაგირებებს განსხვავებული გავლენა აქვს სხვადასხვა საოპერაციო სეგმენტზე.

კოვიდ-19 გლობალური პანდემიის ეფექტი 2020 წელს გავრცელდა ფართო სეგმენტზე მთელი ქვეყნის მასშტაბით. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობამ დააწესა სხვადასხვა შეზღუდვები პანდემიასთან საბრძოლველად, მათ შორის მკაცრი იზოლაცია, კარანტინი, ბიზნესების დროებითი დახურვა და მომხმარებელთა თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვა.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

მოთხოვნის შემცირებამ საქონელსა და მომსახურებაზე, კაპიტალის გაუმჯობესებისა და მშენებლობის ინვესტიციების ნაკლებობამ, საქონლისა და ფინანსური აქტივების საბაზრო ფასების შემცირებამ, კაპიტალისა და სასესხო ინსტრუმენტების და გლობალური ჯაჭვის მოშლით იმოქმედა ბიზნესის ყველა სექტორზე.

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მიმდინარე წელს არ შემცირებულა მნიშვნელოვნად მოთხოვნა მის პროდუქციაზე და მისი ოპერაციები.

კომპანია მუდმივად აფასებს კოვიდ-19 გლობალური პანდემიის გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობაზე. ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე და ფულად ნაკადებზე პანდემიით გამოწვეულ უარყოფით ზემოქმედებას არ აქვს არსებითი გავლენა კომპანიის ფუნქციონირებაზე.

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2020 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

2020 წლის 1 იანვრის შემდეგ შევიდა ძალაში რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება);
- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7);
- კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო შეღავათები (ცვლილებები ფასს 16-ში);
- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება); და
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც კომპანიამ გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად.

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები).

2020 წლის იანვარში, IASB-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში, რომელიც აზუსტებს კრიტერიუმებს ვალდებულებების კლასიფიკაციისთვის მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირება დამოკიდებულია, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს თუ არა კომპანიას უფლება გადაავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. შესწორებები ასევე აზუსტებს, რომ „ვალდებულების დაფარვა“ მოიცავს ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემას, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემის ვალდებულება არ წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი გადაცვლის პირობით, რომელიც კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, ვალდებულების კომპონენტისგან განცალკევებით.

ცვლილებები თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2022 წლის 1 იანვარს და აქტიური იქნებოდა შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში. თუმცა, 2020 წლის მაისში ბასს 1-ის ცვლილებების ამოქმედების თარიღი გადავადდა 2023 წლის 1-ლ იანვრამდე.

ამჟამად, კომპანია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე. ხელმძღვანელობის შეფასებით, ბასს 1-ში შესულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე, რადგან მისი სავალო ინსტრუმენტები არ მოიცავენ კონვერტაციის პირობას.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

სხვა

კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება - მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (მსდ) გაზომვისას კომპანია ხელმძღვანელობს ფასს 9-ის გამარტივებული მიდგომით და ამისთვის იყენებს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. მსდ-ის გასაზომად კომპანია აჯგუფებს სავაჭრო მოთხოვნებს მსგავსი ვადიანობისა და საკრედიტო რისკის საფუძველზე. მოსალოდნელი დანაკარგის განაკვეთის დაანგარიშება ეფუძნება კომპანიის საკრედიტო ზარალების ბოლო სამი წლის ისტორიულ მონაცემს. საკრედიტო დანაკარგების ისტორიული განაკვეთები დაკორექტირებულია მიმდინარე და სამომავლოდ პროგნოზირებადი ინფორმაციით, იმ მაკროეკონომიკურ ფაქტორებზე, რომლებიც მოქმედებენ კომპანიის მომხმარებლებზე. კომპანიამ გაითვალისწინა კოვიდ-19 გლობალური პანდემიის გავლენა მათი ფინანსური აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. დეტალები ფინანსური აქტივების გაუფასურების შესახებ მოცემულია მე-14 შენიშვნაში.

იჯარის ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი (ზსგ) და საიჯარო გადახდები. იჯარის ვადა განისაზღვრება, როგორც იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, იმ პერიოდებთან ერთად, რომლებზეც ვრცელდება იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მოიცავს კომპანიის საქმიანი პრაქტიკით ნაგულისხმევ გაგრძელების უფლებას), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას, ან ნებისმიერი პერიოდი, რომლებზეც ვრცელდება იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე არ გამოიყენებს ამ უფლებას. ხელმძღვანელობა საიჯარო ვადის განსაზღვრისას გადაწყვეტილებას იღებს, როდესაც საიჯარო კონტრაქტები მოიცავს განახლების არჩევანს, რომელიც განხორციელებადია მხოლოდ კომპანიის მიერ. იგი განიხილავს ყველა გარემოებას, რომელიც მას ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება. დაწყების თარიღის შემდეგ, კომპანია საიჯარო ვადას ხელახლა აფასებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ ის გამოიყენებს (ან არ გამოიყენებს) იჯარის გაგრძელების ან იჯარის შეწყვეტის არჩევანის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც მის კონტროლს ექვემდებარება.

ხელმძღვანელობა მსჯელობით აფასებს ზსგ-ს. საბაზო განაკვეთის განსაზღვრისთვის ხელმძღვანელობა იყენებს დაკვირვებად ინფორმაციას და აკორექტირებს მას მოიჯარისა და აქტივის სპეციფიკიდან გამომდინარე (უზრუნველყოფასთან დაკავშირებული კორექტირება).

ჩვეულებრივ, საქართველოში იჯარის განახლების არჩევანის უფლება გამომდინარეობს საქმიანი პრაქტიკიდან და განახლების ყველა პირობა არ არის აღწერილი საიჯარო ხელშეკრულებებში. ასეთ შემთხვევებში, საიჯარო ვალდებულების საწყისი შეფასება გულისხმობს სახელშეკრულებო თანხების ტოლ გადახდებს განახლების პერიოდებისთვის და რომელიც რჩება უცვლელი იჯარის ვადის განმავლობაში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიას გააჩნია ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკები. მოცემულ შენიშვნაში აღწერილია ფინანსური რისკების მართვის მიზანი, პოლიტიკა და გზები, ასევე მათი განსაზღვრის მეთოდები. აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებული რაოდენობრივი ინფორმაცია მოცემულია ამ ფინანსურ ანგარიშგებებში.

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი;
 - საპროცენტო რისკი.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არიან ლიკვიდურნი, ან არიან მოკლევადიანი, იგულისხმება, რომ მათი საბალანსო ღირებულება ახლოსაა რეალურ ღირებულებასთან.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, მიღებულ სესხებსა და საიჯარო ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის საბრუნავი საშუალებების დაფინანსება. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,718,090	5,643,949
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,891,036	1,317,283
	8,609,126	6,961,232
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,311,160	2,569,812
მიღებული სესხები	907,149	1,051,029
საიჯარო ვალდებულებები	598,308	707,981
	5,816,617	4,328,822

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

ფას 7-ის შესაბამისად კომპანიას მოეთხოვება ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის სამართლიანი ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. სამართლიანი ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი აქტიურ ბაზარზე (დაუკორექტირებელი ფასი);
- დონე 2: პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ;
- დონე 3: ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე.

სამართლიანი ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. ორგანიზაცია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიან ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით.

სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. ორგანიზაცია ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად.

კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები. აქედან გამომდინარე ისინი არ არიან წარმოდგენილნი ფას 7-ის რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით, სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზანი კაპიტალის მხარდაჭერის პროცესში არის შემდეგი:

- უზრუნველყოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტად ფუნქციონირება; და
- კომპანიის მფლობელებს მოუტანოს შესაბამისი ამოგება.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

კომპანიის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე განიცდის ფინანსურ ზარალს სხვა მხარის მიერ ვალდებულების ვერ შესრულებით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ისეთი ოპერაციების შედეგად, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალური მოცულობის საკრედიტო რისკს.

კომპანია წარადგენს ფინანსური აქტივების გაუფასურების ანარიცხს, რომელიც ასახავს მათი გაუფასურების შედეგად მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს („ECL“). აღნიშნული ანარიცხის ძირითადი კომპონენტი არის ჯგუფური რეზერვი, რომელიც განსაზღვრულია „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების“ (ECL) მოდელით, შეწონილი ალბათობის საფუძველზე, თითოეული ვადაგადაცდილებული ჯგუფისთვის.

სავაჭრო მოთხოვნების ზემოთ მოცემული თანხები შემცირებულია მათი გაუფასურების რეზერვის თანხებით. სავაჭრო მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი საანგარიშგებო პერიოდისათვის მოცემულია მე-14 შენიშვნაში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)**საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი დაკავშირებულია საპროცენტო ხარჯის წარმომქმნელ ფინანსურ ინსტრუმენტებთან, საპროცენტო რისკის ცვალებადობიდან გამომდინარე. კომპანიას აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკი მიღებულ სესხებსა და საიჯარო ვალდებულებებზე. კომპანიამ განსაზღვრა ზღვრული საპროცენტო განაკვეთი საიჯარო გადასახდელებისთვის და დაიანგარიშა როგორც საშუალო-შეწონილი განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. მიღებული სესხების საპროცენტო განაკვეთი არის ფიქსირებული.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლარი	რუბლი	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,891,036	-	-	1,891,036
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,673,740	44,350	-	6,718,090
	8,564,776	44,350	-	8,609,126
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	538,658	3,528,089	244,413	4,311,160
მიღებული სესხები	-	907,149	-	907,149
საიჯარო ვალდებულებები	23,979	574,329	-	598,308
	562,637	5,009,567	244,413	5,816,617
სავალუტო პოზიცია	8,002,139	(4,965,217)	(244,413)	

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,317,283	-	1,317,283
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,643,949	-	5,643,949
	6,961,232	-	6,961,232
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	401,760	2,168,052	2,569,812
მიღებული სესხები	-	1,051,029	1,051,029
საიჯარო ვალდებულებები	23,823	684,158	707,981
	425,583	3,903,239	4,328,822
სავალუტო პოზიცია	6,535,649	(3,903,239)	

სავალუტო რისკისადმი მგრძნობელობა

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისთვის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე გადაფასების ეფექტი შემდეგია:

	აშშ დოლარი		რუბლი	
ვალუტის კურსის მგრძნობელობა	+20%	-20%	+20%	-20%
ეფექტი	(993,043)	993,043	(48,883)	48,883
31 დეკემბერი 2019	აშშ დოლარი			
ვალუტის კურსის მგრძნობელობა	+20%	-20%		
ეფექტი	(780,647)	780,647		

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე.

ლიკვიდურობის რისკის გასაწესებად, ხელმძღვანელობა რეგულარულად აკონტროლებს მომავალ ფულად ნაკადებს. ლიკვიდურობის ანალიზი მოცემულია ქვემოთმოყვანილ ცხრილში. ქვემოთმოყვანილი ინფორმაცია დაფუძნებულია ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულ ინფორმაციაზე.

ლიკვიდურობის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1 - 5 წლამდე	სულ
ფინანსური ვალდებულებები:			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,311,160	-	4,311,160
მიღებული სესხები	278,088	686,043	964,131
საიჯარო ვალდებულებები	347,981	295,549	643,530
	4,937,229	981,592	5,918,821

შპს „ვიჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1 - 5 წლამდე	სულ
ფინანსური ვალდებულებები:			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,569,812	-	2,569,812
მიღებული სესხები	280,066	863,666	1,143,732
საიჯარო ვალდებულებები	307,682	477,357	785,039
	3,157,560	1,341,023	4,498,583

5. ამონაგები

	2020	2019
ადგილობრივი	26,984,989	24,297,014
ექსპორტი	960,471	87,535
	27,945,460	24,384,549

კომპანია მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში შესასრულებელ ვალდებულებებს ასრულებს დროის გარკვეულ მომენტში.

6. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

	2020	2019
ადგილობრივი	(20,776,646)	(18,861,489)
ექსპორტი	(834,485)	(72,890)
	(21,611,131)	(18,934,379)

გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება 2020 და 2019 წლებისთვის მოიცავს მარაგების გაუფასურების ხარჯს 555,169 ლარისა და 298,516 ლარის ოდენობით, შესაბამისად.

7. გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები

	2020	2019
შრომის ანაზღაურება	(2,469,745)	(2,325,173)
საწვავი და ტრანსპორტირება	(513,730)	(582,967)
ცვეთა და ამორტიზაცია	(384,956)	(240,503)
მარკეტინგული და საპრომოციო ხარჯები	(196,028)	(216,368)
სადისტრიბუციო მანქანების ექსპლუატაციის ხარჯი	(104,929)	(99,115)
მოკლევადიანი იჯარა	-	(139,168)
სხვა	(18,027)	(27,934)
	(3,687,415)	(3,631,228)

შპს „ვიჯი“**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	2020	2019
შრომის ანაზღაურება	(616,405)	(503,342)
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	(150,544)	(91,652)
საექვო ვალების რეზერვის ცვლილება	(73,036)	(186,488)
ცვეთა და ამორტიზაცია	(67,787)	(32,618)
პროფესიული მომსახურება	(65,259)	(53,499)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	(60,936)	(73,290)
ოფისის ხარჯი	(41,057)	(45,332)
დაზღვევა	(35,316)	(15,626)
მივლინება	(22,900)	(39,238)
საბანკო მომსახურება	(11,002)	(11,416)
სხვა	(67,104)	(80,866)
	(1,211,346)	(1,133,367)

9. ფინანსური ხარჯი, წმინდა**ფინანსური შემოსავალი**

	2020	2019
მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხული პროცენტი	103,371	97,574

ფინანსური ხარჯი

საპროცენტო ხარჯი მიღებულ სესხებზე	(25,046)	(32,061)
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	(45,730)	(20,836)
მიღებულ სესხთან დაკავშირებული საკურსო სხვაობა	(130,905)	(68,302)
	(201,681)	(121,199)
	(98,310)	(23,625)

შპს „ვიჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარი)

10. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სარეკლამო საშუალებები	სხვა	სულ
2018 წლის 31 დეკემბერი	1,060,686	138,884	157,054	194,111	1,550,735
შემოსვლა	113,425	86,445	12,928	-	212,798
გასვლა	(64,913)	(81,642)	(60,782)	(146,525)	(353,862)
2019 წლის 31 დეკემბერი	1,109,198	143,687	109,200	47,586	1,409,671
შემოსვლა	20,487	23,608	3,572	2,093	49,760
გასვლა	(114,057)	(31,003)	(12,079)	(18,884)	(176,023)
2020 წლის 31 დეკემბერი	1,015,628	136,292	100,693	30,795	1,283,408
დაგროვილი ცვეთა					
2018 წლის 31 დეკემბერი	(589,732)	(99,533)	(111,620)	(99,592)	(900,477)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(105,328)	(15,884)	(15,068)	(30,892)	(167,172)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	49,487	70,298	60,781	123,902	304,468
2019 წლის 31 დეკემბერი	(645,573)	(45,119)	(65,907)	(6,582)	(763,181)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(107,138)	(25,051)	(12,205)	(9,445)	(153,839)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	104,761	18,332	11,545	3,349	137,987
2020 წლის 31 დეკემბერი	(647,950)	(51,838)	(66,567)	(12,678)	(779,033)
საბალანსო ღირებულება					
2019 წლის 31 დეკემბერი	463,625	98,568	43,293	41,004	646,490
2020 წლის 31 დეკემბერი	367,678	84,455	34,127	18,117	504,377

11. იჯარები

კომპანია ქირაობს საოფისე ფართებსა და საწყობებს რამდენიმე კონტრაგენტისგან. ორივე ტიპის იჯარა არის ფიქსირებული იჯარის ვადის განმავლობაში და განსაზღვრულია როგორც ლარში, ისე აშშ დოლარში.

იჯარების ვადიანობა განსაზღვრულია 1-დან 4 წლამდე 2020 წლისთვის (2019: 1-დან 3 წლამდე). იჯარების ზღვრული საპროცენტო განაკვეთი 2020 და 2019 წლისათვის შეადგენდა წლიურ 7.05%-12.86%-ს იჯარების ვადიანობისა და ვალუტების მიხედვით.

აქტივების გამოყენების უფლება შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	ოფისი	საწყობი	სულ
1 იანვარი 2019	-	27,411	27,411
შემოსვლა	119,329	638,654	757,983
ცვეთა	(16,640)	(84,667)	(101,307)
31 დეკემბერი 2019	102,689	581,398	684,087
შემოსვლა	2,494	-	2,494
ცვეთა	(46,404)	(248,527)	(294,931)
მოდIFIკაციის ეფექტი იჯარის ვადაზე	13,766	73,689	87,455
31 დეკემბერი 2020	72,545	406,560	479,105

შპს „გიჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

11. იჯარები (გაგრძელება)

საიჯარო ვალდებულება შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	ოფისი	საწყობი	სულ
1 იანვარი 2019	-	27,441	27,441
შემოსვლა	119,329	638,654	757,983
საპროცენტო ხარჯი	3,328	17,508	20,836
საიჯარო გადასახდელები	(18,332)	(91,488)	(109,820)
საკურსო სხვაობა	1,693	9,848	11,541
31 დეკემბერი 2019	106,018	601,963	707,981
შემოსვლა	2,494	-	2,494
საპროცენტო ხარჯი	6,944	38,786	45,730
საიჯარო გადასახდელები	(51,927)	(280,415)	(332,342)
მოდიფიკაციის ეფექტი იჯარის ვადაზე	13,766	73,689	87,455
საკურსო სხვაობა	12,730	74,260	86,990
31 დეკემბერი 2020	90,025	508,283	598,308

დამატებითი ინფორმაცია საიჯარო ვალდებულებების ლიკვიდურობის შესახებ მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

12. მარაგები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
გასაყიდი პროდუქცია	4,283,312	3,263,060
მარაგები გზაში	216,388	-
სხვა	35,733	55,033
	4,535,433	3,318,093

13. საგადასახადო აქტივები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდეზე. შედეგად, 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ნეტო საფუძველზე - 174,945 ლარი (აქტივი) და 127,964 ლარი (აქტივი).

შპს „ვიჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარი)

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	8,243,957	7,091,842
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	249,521	254,459
გაუფასურების რეზერვი	(1,775,388)	(1,702,352)
	6,718,090	5,643,949
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები	411,539	368,647
	411,539	368,647
	7,129,629	6,012,596

იმისათვის, რომ განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი, კომპანია იყენებს გამარტივებულ მეთოდს ფასს 9-ის შესაბამისად. მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განსაზღვრისთვის, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაჯგუფებულია საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით.

კოვიდ-19 პანდემიის უპრეცედენტო ხასიათის და მასთან დაკავშირებული განუსაზღვრელი გავლენის გამო კომპანიამ ხელახლა შეაფასა გაუფასურების მოდელი და დაეყრდნო ხელმძღვანელობის მსჯელობას მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, რომელიც ასახავს კოვიდ-19-ის ეფექტს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე. ჩატარებული ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე, რომელიც ეფუძნება დაკვირვებად და შიდა მონაცემებს. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთის ცვლილება განსხვავებულია იმ სეგმენტებისთვის, სადაც ოპერირებენ კომპანიის მომხმარებლები.

მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განსაზღვრისთვის, კომპანიამ სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში შემავალი ფინანსური აქტივები, კოვიდ-19-ის გავლენის გათვალისწინებით, გამოიყენა სეგმენტებად მათ საქმიანობაზე კოვიდ-19-ით გამოწვეული ნეგატიური გავლენის მაჩვენებლის მიხედვით. ყველა მოთხოვნა დაკლასიფიცირდა ისეთ მოთხოვნებად, რომლებსაც ახასიათებთ კოვიდ-19-ით გამოწვეული ნეგატიური გავლენის საშუალო მაჩვენებელი და მომავალში მოსალოდნელია მომხმარებლის ეკონომიკური მდგომარეობის საშუალო ტემპით გაუმჯობესება.

გარდა მაკროეკონომიკური ფაქტორებისა, ხელმძღვანელობამ ასევე გაითვალისწინა, კომპანიის მომხმარებელთა ცალკეული სეგმენტის ინდივიდუალური მახასიათებელი, სხვა დამატებითი გარემოებები და რისკ ფაქტორები, რომელიც ასახავს ისეთ გავლენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთზე, რასაც არ ითვალისწინებს მაკროეკონომიკური ფაქტორები.

შესაბამისი კორექტირებების გათვალისწინებით, კომპანიამ განაახლა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. საკრედიტო ზარალის განაკვეთების ცვლილების ეფექტმა გაუფასურების რეზერვზე შეადგინა 26,813 ლარი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	თანხა გაუფასურებამდე	გაუფასურების კოეფიციენტი	გაუფასურების რეზერვი
მიმდინარე	5,892,743	1.15%	(67,767)
ვადაგადაცილება 0-30	590,695	5.75%	(33,965)
ვადაგადაცილება 31-90	265,064	11.50%	(30,482)
ვადაგადაცილება 91-180	118,962	34.50%	(41,042)
ვადაგადაცილება 181-360	56,193	57.50%	(32,311)
ვადაგადაცილება 361>	1,569,821	100.00%	(1,569,821)
მოთხოვნები გაუფასურებამდე	8,493,478		(1,775,388)
გაუფასურების რეზერვი	(1,775,388)		
წმინდა მოთხოვნები	6,718,090		

შპს „ვიჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ლარში)

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

2019 წელს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთები ეფუძნებოდა კომპანიის ბოლო სამი წლის საკრედიტო გაუფასურების გამოცდილებას. ისტორიული მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთი დაკორექტირდა არსებული და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენდა კომპანიის მომხმარებლებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	თანხა გაუფასურებამდე	გაუფასურების კოეფიციენტი	გაუფასურების რეზერვი
მიმდინარე	4,943,934	1%	(49,439)
ვადაგადაცილება 0-30	350,673	5%	(17,534)
ვადაგადაცილება 31-90	309,241	10%	(30,924)
ვადაგადაცილება 91-180	111,743	30%	(33,523)
ვადაგადაცილება 181-360	119,554	50%	(59,777)
ვადაგადაცილება 361>	1,511,156	100%	(1,511,155)
მოთხოვნები გაუფასურებამდე	7,346,301		(1,702,352)
გაუფასურების რეზერვი	(1,702,352)		
წმინდა მოთხოვნები	5,643,949		

გაუფასურების რეზერვის ცვლილება 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
1 იანვარი	(1,702,352)	(1,515,864)
ზრდა	(73,036)	(186,488)
31 დეკემბერი	(1,775,388)	(1,702,352)

15. ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	8,579	3,035
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	587,108	762,823
მოთხოვნამდე დეპოზიტი	1,295,349	551,425
	1,891,036	1,317,283

კომპანიის არცერთი ნაშთი არ არის ვადაგადაცილებული. ბანკში არსებული ნაშთებისთვის ზარალის რეზერვი არ აღიარებულა, მისი მოკლევადიანი ხასიათის გამო. 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ნაშთები განთავსებულია ბანკებში, რომლებსაც ფიტჩის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ B (მოკლევადიანი) და BB- (გრძელვადიანი) რეიტინგი.

დამატებითი ინფორმაცია ფულის და ფულის ეკვივალენტების შესახებ მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

შპს „ვიჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

16. მიღებული სესხები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ძირი თანხა	905,376	986,086
პროცენტი	1,773	64,943
	907,149	1,051,029

2017 წლის 16 ნოემბერს კომპანიამ აიღო სესხი “ტრუვეგა ინვესტ ლიმიტედისგან”. სესხის ოდენობა ხელშეკრულების მიხედვით შეადგენს 700,000 აშშ დოლარს, თუმცა კომპანიას ათვისებული აქვს მხოლოდ მისი ნახევარი. წლიური საპროცენტო განაკვეთია 4.5%. გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთი იზრდება 6.5%-მდე და ერიცხება რთული პროცენტით. სესხი არ არის უზრუნველყოფილი და არის გრძელვადიანი. სესხის გადახდის ბოლო ვადა არის 2024 წლის 15 აგვისტო. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2019 წელს კომპანიამ ვერ მოახერხა სესხის ნაწილის დაფარვა, რადგან "ტრუვეგა ინვესტ ლიმიტედს" ჰქონდა პრობლემა მათ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვისა. სესხის პროცენტისა და ძირის გადახდები განახლდა 2020 წლის იანვრიდან.

მიღებული სესხების რეკონსილაცია 2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
1 იანვარი	1,051,029	950,667
მონეტარული ცვლილებები		
ძირის გადახდა	(209,900)	-
პროცენტის გადახდა	(89,931)	-
არამონეტარული ცვლილებები		
საკუროს სხვაობის ეფექტი	130,904	68,301
დარიცხული პროცენტი	25,047	32,061
31 დეკემბერი	907,149	1,051,029

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	3,772,502	2,168,052
გადასახდელი ხელფასები	178,783	135,131
სხვა ვალდებულებები	359,875	266,629
	4,311,160	2,569,812
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	58,690	26,388
	58,690	26,388
	4,369,850	2,596,200

დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შესახებ მოცემულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

18. წინა პერიოდის რეკლასიფიკაცია

რადგანაც მარაგების გაუფასურების ხარჯი კომპანიის ბიზნესისთვის თანმდევი და შინაარსობრივად გაყიდული პროდუქციის თვითღირებულებას უფრო მიეკუთვნება, ვიდრე საერთოდ და ადმინისტრაციულ ხარჯს, უკეთესი წარდგენის მიზნებისთვის კომპანიამ გააკეთა წინა პერიოდის შემდეგი რეკლასიფიკაცია:

	ცვლილებამდე	ცვლილება	ცვლილების შემდეგ
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	(18,635,863)	(298,516)	(18,934,379)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(1,431,883)	298,516	(1,133,367)

19. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში. მომავალში, დივიდენდების გაცემის შემთხვევაში გადასახდელი მოგების გადასახადის მაქსიმალურმა ოდენობამ შეიძლება შეადგინოს 79,079 ლარი.

20. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“ წარმოადგენს:

- მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით: აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან); ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია; და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;
- კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;
- (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;
- მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივარ კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

შპს „ვიჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

20. დაკავშირებული მხარეები (გაგრძელება)

კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის 2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდებისთვის განხორციელებული ოპერაციების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

დაკავშირებული მხარე		31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო ვალდებულებები		1,278,260	1,029,987
LLS VEYSELOGLU YAYCILI QARDASHLAR	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული მხარე	1,278,260	1,029,987
მარაგის შესყიდვა		2,225,257	1,929,287
LLS VEYSELOGLU YAYCILI QARDASHLAR	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული მხარე	2,225,257	1,929,287
ამონაგები		390,233	-
LLC OBA MARKET	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული მხარე	278,189	-
LLC VEYSELOGLU	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული მხარე	112,044	-

ხელმძღვანელობის ანაზღაურება მოიცავს სახელშეკრულებო ხელფასსა და სხვა ანაზღაურებას. სულ ხელმძღვანელობის ანაზღაურებას 2020 წლისთვის წარმოადგენს 332,840 ლარი, ხოლო 2019 წლისთვის 302,498 ლარი.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2021 წლის მარტში კომპანიამ მისი მეწილისგან, აიღინ თალიზოვისგან (C00551204) მიიღო სესხი 1,619,767 ლარის (470,000 აშშ დოლარი) ოდენობით. სესხის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია და წარმოადგენს წლიურ 4%-ს. ხელშეკრულების მიხედვით სესხის დაფარვის ბოლო ვადას წარმოადგენს 2026 წლის 1 აპრილი.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკები ვრცელდება ამ ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგენილ ყველა პერიოდზე, თუ საწინააღმდეგო არ არის ნათქვამი.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისთვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის.

კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასება არ ეხება არამონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებს.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

	აშშ დოლარი	ევრო	რუბლი
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	3.2766	4.0233	0.0440
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	2.8677	3.2095	0.0464

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვის პრინციპებს განსაზღვრავს ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“. მასში მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“.

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებსა და ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი.

სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს, რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულს გზაში, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო ვალდებულებებს, სხვა მიმდინარე ვალდებულებებსა და საიჯარო ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფინანსური ვალდებულებებისა და აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმომდგარი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება კომპანიას, მის მიერ აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ამონაგები

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ ეტაპიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე/მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს კვების პროდუქტების საბითუმად რეალიზაცია საქართველოს მასშტაბით. შემოსავალი სადისტრიბუციო საქმიანობიდან აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში. დროის იმ მომენტის დასადგენად, როდესაც მომხმარებელი მოიპოვებს კონტროლს დაპირებულ აქტივზე და კომპანია დაფარავს შესასრულებელ ვალდებულებას, კომპანია ითვალისწინებს შემდეგ ქვემოთ ჩამოთვლილ ნიშნებს:

- გააჩნია თუ არა კომპანიას მიმდინარე უფლება აქტივისთვის გადახდილი ანაზღაურების მიღებაზე;
- გააჩნია თუ არა მომხმარებელს აქტივის საკუთრების იურიდიული უფლება;
- გადასცა თუ არა კომპანიამ აქტივი ფიზიკურად;
- გააჩნია თუ არა მომხმარებელს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- მიიღო თუ არა მომხმარებელმა აქტივი;

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

თითოეულ სარეალიზაციო პროდუქტზე დადგენილი ფასების შესახებ ინფორმაცია აისახება მომხმარებელთან გაფორმებულ გენერალურ ხელშეკრულებაში და ფასები შესაძლოა განსხვავებული იყოს მომხმარებლების მიხედვით. ფასების ცვლილების შემთხვევაში ინფორმაციის ასახვა ხდება სასაქონლო-ზედნაღების დოკუმენტში, რომელიც წარმოადგენს შემოსავლის დამადასტურებელ პირველად დოკუმენტს.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ზოგიერთი ხელშეკრულების მიხედვით კომპანია პროდუქციაზე კონტროლს მომხმარებელს გადასცემს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო, მას ასევე პროდუქტის დაბრუნებისა და შემდეგი უფლებების რაიმე კომბინაციით სარგებლობის უფლებას აძლევს:

- გადახდილი ანაზღაურების სრული ან ნაწილობრივ ანაზღაურება;
- სხვა პროდუქტის მიღება დაბრუნების სანაცვლოდ;

დაბრუნების უფლებით გაყიდული პროდუქციის აღრიცხვისათვის კომპანია აღიარებს ამონაგებს გადაცემული პროდუქციისთვის, ანაზღაურების იმ ოდენობით, რომლის მიღების უფლების მოპოვებასაც კომპანია მოელოდა;

მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების საკონტრაქტო ფასი ასევე მოიცავს ფასდათმობებს, რეტრო-ბონუსებსა და სარეკლამო ხარჯებს, მაგ. მაღაზიაში პროდუქციის სხვაზე უპირატესად განთავსების ხარჯები. კომპანია ამონაგებს აღიარებს ამ ხარჯების შემცირებული ღირებულებით.

გამოყენებული გათავისუფლება

კომპანიამ გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

იჯარები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს; და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ეს შეუძლებელია (როგორც ეს ხშირად ხდება), გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული საპროცენტო განაკვეთი.

აქტივების გამოყენების უფლება უნდა შეფასდეს საიჯარო ვალდებულებების თანხით და უნდა მოიცავდეს:

- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით გამოკლებით.

აქტივს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე, ან აქტივის ეკონომიკური ვადის განმავლობაში, თუ ეს უკანასკნელი განხილულია, როგორც უფრო მცირე ვადის მქონე, ვიდრე საიჯარო ვადა. აქტივების გამოყენების უფლება მიმდინარე და შესადარის პერიოდების განმავლობაში იცვითებოდა 1-4 წლის ვადაზე.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

როდესაც კომპანია ცვლის იჯარის ვადას (იმიტომ რომ, მაგალითად, მან ხელახლა შეაფასა იჯარის გახანგრძლივების, ანდაც შეწყვეტის უფლება), საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით, კომპანიამ ხელახლა უნდა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიარდეს მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

ფინანსური ხარჯი

საპროცენტო ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დარიცხვის მეთოდით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად. ამ მეთოდის შესაბამისად გადავადდება ყველა ის საკომისიო ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია სესხის მიღებასთან, რადგანაც ოპერაციის ხარჯები ჩართულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები და ბონუსები

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15 %, ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ფიზიკურ და არა-რეზიდენტ (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) პირებზე გაცემულ დივიდენდზე.

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება შემდეგი ოპერაციები/გადახდები:

- დივიდენდის გადახდა;
- სახელშეკრულებო და საბაზრო ფასს შორის სხვაობა;
- ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის უსასყიდლო მიწოდება;
- ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯები.

კომპანია აღიარებს მოგების გადასახადს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის გაიცემა.

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს.

გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, აღიარდება მავალდებულებელი მოვლენის წარმოქმნის დროს. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც ავალდებულებს კომპანიას გადაიხადოს გადასახადი. გადასახადები დაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარდება აქტივად.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**ძირითადი საშუალებები****აღიარება და შეფასება**

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი აკუმულირებული ცვეთის და გაუფასურების ზარალის თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაზე, იმისთვის რომ მოხდეს აქტივების გახარჯვა მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს.

როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ცალკეული ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადა ერთმანეთისაგან განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალებების ცალ-ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად).

ძირითადი საშუალებების ერთეულის რეალიზაციიდან მიღებული სარგებელი ან დანაკარგი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვიდან ამონაგებს შორის სხვაობა და, შესაბამისად, აისახება მოგება ან ზარალში სხვა შემოსავლების/სხვა ხარჯების ნაწილში.

შემდგომი ხარჯები

თავდაპირველი აღიარების შემდგომი კაპიტალიზებადი ხარჯები მოიცავს რემონტისა და აქტივის შეცვლის იმ დანახარჯებს, რომლებიც ახანგრძლივებს აქტივის სასიცოცხლო ვადას ან ზრდის მწარმოებლურობას. რემონტისა და შენახვის ხარჯები, რომლებიც არ აკმაყოფილებს კაპიტალიზებადი ხარჯების კრიტერიუმებს, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ის გაიწევა, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ცვეთის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზაობის დღიდან, რაც შეეხება „კომპანიის“ მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენების მზაობის დღიდან. ცვეთა იანგარიშება ცვეთადი ღირებულებიდან, რომელიც არის აქტივის თვითღირებულებას გამოკლებული აქტივის ნარჩენი ღირებულება.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. მიწაზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადარის პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	5-8
სარეკლამო საშუალებები	5
სხვა	3-10

სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და კორექტირდება საჭიროების შემთხვევაში.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება განიხილება ყოველი ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება. გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომელთა ინდივიდუალური შეფასება ვერ ხერხდება, ერთიანდება მცირე აქტივთა ჯგუფებში. ეს ჯგუფები („ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული“, „ფსწე“), მუდმივი გამოყენების პირობებში, უზრუნველყოფენ ფულადი ნაკადების ისეთ შემოდიწებას, რომელიც სრულიად დამოუკიდებელია სხვა აქტივების ან აქტივთა ჯგუფის მიერ წარმოქმნილი ფულადი ნაკადებისგან.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

აქტივის ან „ფსწე“-ს ანაზღაურებადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და საბაზრო ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯებს შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება გადასახადების გადახდამდე დისკონტის განაკვეთის გამოყენებით ასახავს ფულის დროში ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებას და ამ აქტივებისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში თუ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. აღიარებული გაუფასურების ზარალი ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულთან მიმართებაში გამოყოფილია აქტივების საბალანსო ღირებულების შესამცირებლად თანაბარი პროპორციის საფუძველზე.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი გაუფასურების ზარალის შემცირების ან აღმოფხვრის რაიმე ნიშნის გამოსავლენად ხელახლა ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. გაუფასურების ზარალი კორექტირდება, თუ ანაზღაურებადი ღირებულების გაანგარიშებაში გამოყენებულ დაშვებებში ცვლილებას ჰქონდა ადგილი. გაუფასურების ზარალი კორექტირდება მხოლოდ იმ ზღვრამდე, სანამ აქტივის საბალანსო ღირებულება არ მიაღწევს იმ ღირებულებას, ცვეთისა და ამორტიზაციის გათვალისწინებით, რაც ექნებოდა აქტივს, გაუფასურება რომ არ მომხდარიყო.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომი აღრიცხვა თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგის ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდის მიხედვით.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

22. მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმოშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები.

სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

სარჩევი

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა	34
1. კომპანიის შესახებ	34
2. მმართველობა	35
3. საქმიანობის შედეგები	36
4. კომპანიის განვითარების გეგმები	36
5. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ	38
6. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა	38
7. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	38
8. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	39
9. დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ	39
10. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	39

შპს „ვიჯი“

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

1. კომპანიის შესახებ

შპს „ვიჯი“ (ს.წ. 406024127) (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2010 წლის იანვარში.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელთა სტრუქტურა შემდეგია:

- აიდინ თალიბოვი (C00551204) – 59.11%
- ილგარ თალიბოვი (C00971364) – 30.43%
- ბახტიარ ალლაჰვერდი (C00571837) – 10.46%

ზემოაღნიშნული წილები შეიცვალა 2014 წლის 18 ივნისს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით და გადანაწილდა შემდეგნაირად: აიდინ თალიბოვი (C00551204) – 69.49%, ილგარ თალიბოვი (C00971364) – 22.71%, ბახტიარ ალლაჰვერდი (C00571837) – 7.80%, თუმცა აღნიშნული ცვლილება არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

კომპანიის დირექტორი არის დავით ქაღდანი (პ.წ. 01011030205).

სავაჭრო სახელი - „ვიჯი“.

შპს „ვიჯი“ საქართველოს მასშტაბით წარმოადგენს ერთ-ერთ ლიდერ სადისტრიბუციო კომპანიას, რომლის ძირითად საქმიანობას 2010 წლიდან წარმოადგენს შოკოლადის ნაწარმისა და საკვები პროდუქტების იმპორტი და დისტრიბუცია საქართველოში.

კომპანიის **მისიაა** შესთავაზოს მომხმარებელს მსოფლიო ბრენდების ფართო ასორტიმენტი და უზრუნველყოს პროდუქციის დროული მიწოდება სავაჭრო წერტილებში.

კომპანიის **სტრატეგიაა** უზრუნველყოს მომხმარებელი მუდმივად ახალი პროდუქტით და სარგისიან შეთავაზებებით.

შპს „ვიჯი“ წარმოადგენს მსოფლიოში ცნობილი ბრენდების ოფიციალურ პარტნიორს საქართველოში, როგორებიცაა:



2. მმართველობა

კომპანიაში მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს დირექტორთა საბჭო, რომელიც შედგება სამი წევრისგან.

დირექტორთა საბჭოს მიზანია - კომპანიის საქმიანობის შესაბამისობის უზრუნველყოფა მის მიზნებთან და სტრატეგიასთან. დირექტორთა საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- სამურნეო საქმიანობის დაწყება და შეწყვეტა
- სამურნეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა
- უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა
- ინვესტიციების განხორციელება
- სესხების და კრედიტების აღება
- ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია
- წლიური შედეგების დამტკიცება და შედეგების გამოყენება
- დირექტორების დანიშვნა და გამოწვევა, მათთან ხელშეკრულების დადება და შეწყვეტა

კომპანიას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომლის მთავარ ამოცანებს წარმოადგენს:

- ტოპ მენეჯმენტის წევრებს შორის შეთანხმებული და მკაფიო სტრატეგიის არსებობა
- კომპანიის ოპერატიული მართვა
- ბიზნეს პროცესების გამართული, უწყვეტი მიმდინარეობა
- სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესაბამისი წლის სამოქმედო გეგმების არსებობა განყოფილებების დონეზე და მათი შესრულება

ზემოაღნიშნული სტრატეგიული ამოცანების მისაღწევად დირექტორი:

- განაგებს საზოგადოების ქონებას (ფინანსური სახსრების ჩათვლით)
- აწარმოებს ყველა სახის გარიგებას და სხვა იურიდიულ აქტებს, გამოსცემს მინდობილობებს, ხსნის ბანკებში კომპანიის საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებს
- მოქმედებს კომპანიის სახელით, წარმოადგენს მის ინტერესებს მესამე პირებთან
- განიხილავს შტატების დამატების საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას კადრების დანიშვნისა და გათავისუფლების თაობაზე
- სტრატეგიიდან გამომდინარე, განყოფილებების დონეზე განიხილავს სამოქმედო გეგმას
- შეიმუშავებს ბიზნეს პროცესებს ან/და ცვლილებები შეაქვს მათში
- განიხილავს მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მდგომარეობას
- განიხილავს მიმდინარე პრობლემურ საკითხებს, იღებს გადაწყვეტილებას და ანხორციელებს მონიტორინგს მათ აღსრულებაზე
- ანხორციელებს ფინანსური შედეგების ანალიზს და შესრულებული სამუშაოების შედეგების შეფასებას
- ანხორციელებს სხვა საჭირო ქმედებებს საზოგადოების მიზნების მისაღწევად

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მაკონტროლებელია:

- საგადასახადო ორგანო;
- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური;
- სურსათის ეროვნული სააგენტო, რომელიც ახორციელებს სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში არსებული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისობის დადგენას

კომპანია ასრულებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და ბიზნეს ოპერატორის მოთხოვნებს; ასევე, მკაცრად კონტროლდება პროდუქციის ხარისხი და ვარგისიანობის ვადები, ქართული ეტიკეტირება და ა.შ. კომპანიის პრიორიტეტს ასევე წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვა.

3. საქმიანობის შედეგები

2020 წელს კომპანიის საქმიანობა გაფართოვდა, რაც აისახა გაზრდილ ამონაგების მაჩვენებელშიც. 2020 წელს კომპანიას დაემატა ახალი მომწოდებლები ტკბილეულის და გასტრონომიის მიმართულებაში.

2020 წელს შემცირდა მომხმარებელთა რაოდენობა დაახლოებით 536 ერთეულით (2019 წელი (ზრდა): 312 ერთეული). 2020 წელს შემოსავლების ზრდას ხელი შეუწყო თავის მხრივ ქსელური მაღაზიების გაფართოებამ.

პანდემიის პირობებში კომპანიას მოკლე ვადებში მოუწია ახალ რეალობასთან ადაპტაცია. ახალი კანონები, შეზღუდვები, რეგულაციები, რომელთა დაცვაც უწევთ კომპანიებს, სამუშაო პროცესს აფერხებს ან საერთოდ წყვეტს.

უწყვეტი სამუშაო რეჟიმის შესანარჩუნებლად და ინფიცირების რისკის შესამცირებლად კომპანიის ხელმძღვანელობამ მალევე მიიღო შესაბამისი ზომები. დასაქმებულთა ძირითადი ნაწილი გადაიყვანა დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე, რაც დამატებით სირთულეს წარმოადგენდა. მოხერხდა მოკლე პერიოდში ტექნიკური ნაწილის გამართვა ყველა თანამშრომლისთვის. დაემატა ახალი სერვერი, რათა დისტანციურად მუშაობა არ შეფერხებულიყო. მოხდა ახალი პროგრამების ინტეგრაცია სწრაფი კომუნიკაციის, ინფორმაციის გაცვლისა და ონლაინ რეჟიმში შეხვედრების ჩატარებისთვის. IT დეპარტამენტმა საკმაოდ ეფექტურად გაართვა თავი აღნიშნული პრობლემის მოგვარებას და სირთულეების მიუხედავად სამუშაო პროცესი არ გაჩერებულა.

მათთვის, ვისთვისაც ოფისში სიარული საჭირო იყო, დაწესდა ცვლები. ისეთი გაყიდვების წარმომადგენლებისთვის, რომლებიც მუშაობდნენ ქსელში, ოფისში მოსვლის სიხშირე მინიმუმამდე იქნა დაყვანილი, რათა ინფიცირების რისკ-ფაქტორი კიდევ უფრო შემცირებულიყო.

დროულად მოხდა საშვების დამზადება თანამშრომლებისთვის, რადგან გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვების გამო დგებოდა საფრთხე ლოჯისტიკის ნაწილში მიწოდების ვადების დარღვევასთან დაკავშირებით, რაც დამატებით ფინანსურ დანაკარგებს გამოიწვევდა კონტრაგენტების მიერ დაწესებული ჯარიმების სახით. თანამშრომელთა ტრანსპორტირებას კი ოფისამდე კომპანია უზრუნველყოფდა.

ამ პერიოდში კომპანიას არ მოუხდენია კადრების შემცირება. მეტიც, მათ, ვისაც სამუშაოს შესრულების შესაძლებლობა არ ჰქონდა, შეუნარჩუნდათ სამსახურიც და ხელფასიც. ხელფასების გაცემა წარმოებდა ჩვეულ რეჟიმში, შეუფერხებლად. კომპანიის ერთ-ერთ მთავარ მიღწევად შეგვიძლია ჩავთვალოთ ხუთდღიან სამუშაო გრაფიკზე გადასვლა, რაც კიდევ ერთი ძლიერი მამოტივირებელი ფაქტორი იყო დასაქმებულებისთვის.

ფაქტობრივად არ შეფერხებულა მარაგების შევსების პროცესი გლობალური კრიზისის პირობებში. იმ შემთხვევებშიც კი, როცა მომწოდებლებს არ შეეძლოთ საჭირო რაოდენობის პროდუქციის მოწოდება, კომპანიამ შეძლო ალტერნატიული მომწოდებლების მოძებნა, პროდუქციის შემოტანა და მარაგების შევსება.

მარკეტინგის დეპარტამენტის მიერ მუდმივად ხდებოდა ბაზარზე ფასების მონიტორინგი და სიტუაციის შესაბამისად წინასწარ აწარმოებდნენ ქარხნებთან მოლაპარაკებებს ფასების ცვლილებასთან დაკავშირებით. შედეგად ბაზარზე ფასების გაძვირებისას კომპანიას ჰქონდა ბიუჯეტი მარკეტინგული აქტივობებისთვის, რომლითაც სარგებელს საბოლოო მომხმარებელელი ნახულობდა. მასობრივი პანიკის პერიოდში კონკრეტული ჯგუფის პროდუქტებზე (როგორიცაა ზეთი, მაკარონი და ა.შ) ქსელური მარკეტები დიდი მოცულობის შეკვეთებს აკეთებდნენ. მარკეტინგის დეპარტამენტმა შეძლო ქსელიში მარაგების ოპტიმალური გადანაწილება, რითაც ახდენდა დებიტორული დავალიანების რისკის დივერსიფიკაციას და მომხმარებელს აძლევდა საშუალებას, ჩვენი პროდუქცია უფრო ხელმისაწვდომი ყოფილიყო.

დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადასვლამ თავის მხრივ კომპანიის ხარჯების ნაწილი შეამცირა. მაგალითად კომუნალური გადასახადები და საოფისე ხარჯები.

მაშინ როცა კრიზისის დროს მთელი რიგი კომპანიები დაიხურა, კომპანიამ შეძლო ფინანსური მაჩვენებლების არამც თუ შენარჩუნება, გაუმჯობესებაც კი. გასულ წელთან შედარებით გაზრდილია საერთო მოგების, საოპერაციო და წმინდა მოგების მარჟა. ასევე გაზრდილია უკუგება აქტივებზე და კაპიტალზე. რაც შეეხება გაუფასურების რეზერვებს, 2020 წელს ეს მაჩვენებელი გაიზარდა მხოლოდ 4%-ით.

2020 წლის ფინანსური შედეგები შეჯამებულია ქვემოთ განყოფილებებში.

4. კომპანიის განვითარების გეგმები

კომპანია იმყოფება მუდმივი განვითარების პროცესში, რაც განპირობებულია ბაზარზე არსებული დიდი კონკურენციით. დღესდღეობით კომპანიას გააჩნია საკუთარი ნიშა და კონკრეტულ სეგმენტზე ორიენტირებული, სამომავლოდ იგეგმება კომპანიის პოზიციების მეტად გამყარება და გაფართოება. აღნიშნულის მისაღწევად, კომპანიის ხელმძღვანელობა გეგმავს:

- ასორტიმენტის განვითარებას - ახალი პროდუქტების შერჩევა, დანერგვა და სწორი ფასდადგენა. ამისათვის, ყოველთვიურ ჭრილში პარეტო და ABC ანალიზზე დაყრდნობით ხდება ასორტიმენტის ოპტიმიზაცია, კერძოდ, დაბალმარჟიან და დაბალბრუნვით ასორტიმენტზე უარის თქმა და მაღალმარჟიან ასორტიმენტზე

4. კომპანიის განვითარების გეგმები (გაგრძელება)

ფოკუსირება. კომპანია გეგმავს ახალი მიმართულებით გაყიდვებს: შაქრის და ზეთის იმპორტი და რეალიზაცია პირდაპირი მიწოდებით, რაც დაბალი ფასნამატი და დანახარჯით მოგების მიღებას უზრუნველყოფს.

- ხარისხიანი მომსახურების უზრუნველყოფას - ოპერაციების შეუფერხებელი წარმოება, მომსახურების ხარისხის კონტროლი და განვითარება; იგეგმება საწყობის სრული ავტომატიზაცია.
- გაყიდვების სტიმულირებას - ბრენდების განვითარება; სავაჭრო ქსელის განვითარება; სხვადასხვა მარკეტინგული აქტივობები; ახალი საბონუსე სისტემა გაყიდვების გუნდისთვის.
- ქროს-დოკ სისტემაზე გადასვლას - ხარჯების შემცირების მიზნით იგეგმება ქუთაისის საწყობის დაგეგმვა ქროს-დოკ სისტემაზე, რაც დანაკარგის შემცირებასა და კლიენტთა მომსახურების სრულყოფას გამოიწვევს.
- დისტანციური გაყიდვების მიმართულებით მუშაობას - მსხვილ სავაჭრო ქსელებთან დისტანციურ (ოპერატორების მეშვეობით) მომსახურებაზე გადასვლა, რაც ასევე ხარჯების შემცირებას გამოიწვევს.

კომპანიის წინაშე დგას შემდეგი ამოცანები, რომელთა მიღწევასაც გეგმავს მომავალში:

- კორპორატიული კლიენტების მოზიდვა და მათთან ურთიერთობის განვითარება:
 - ქსელის გაფართოვება და კლიენტების მონაცემთა ბაზების განვითარება
 - სპეციფიკის მიხედვით ოპტიმალური შეთავაზებების მომზადება და პირდაპირი კომუნიკაცია
 - მომხმარებლებთან უკუკავშირი
 - არსებულ კლიენტებთან ურთიერთობის განვითარება
 - ბრენდების ცნობადობისა და სანდოობის გაზრდა
- მომსახურების მაღალი ხარისხი:
 - კადრების შერჩევა და უწყვეტი სწავლება
 - მომსახურების ხარისხის კონტროლი
 - მომსახურების სტანდარტების განსაზღვრა და დანერგვა
- ოპერაციების შეუფერხებელი წარმოება:
 - პროდუქციის მარაგებზე მოთხოვნებისა და პროგნოზების განსაზღვრა (გაყიდვების პროგნოზირების მიხედვით)
 - ლოჯისტიკა
 - შესყიდვების განხორციელება
 - საწყობებში და საწყობებს შორის მარაგების ეფექტიანი მართვა
- ასორტიმენტის განვითარება:
 - არსებული პროდუქტების გაყიდვების ანალიზი და გამოუყენებელი პოტენციალის შეფასება
 - ფასწარმოქმნა
- ქსელის განვითარება:
 - პოტენციური რეგიონების/რაიონების გამოყოფა და სპეციფიკის შესწავლა
 - არსებული მაღაზიების გაყიდვების ანალიზი რეგიონების/რაიონების მიხედვით
 - ბაზარზე გაყიდვების ანალიზი
- ფინანსური ეფექტიანობის უზრუნველყოფა:
 - ბიუჯეტირების განვითარება
 - ფინანსური და ოპერაციული რისკების მართვა
 - სწორი ფასწარმოქმნა
 - ეფექტური ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების პროცესი

შპს „ვიჯი“

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარიში)

5. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას ქვეყნის მასშტაბით გააჩნია ფილიალი ქუთაისში, რომლის მიზანიც არის დასავლეთ საქართველოს მომარაგება პროდუქციით. მისი მართვა ხორციელდება თბილისის ცენტრალური ოფისიდან. ასევე, ქ.თბილისში კომპანიას გააჩნია ცენტრალური საწყობი.

6. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა

2020 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ არ მომხდარა კვლევის და განვითარების სამუშაოების ჩატარება, რომელიც უკავშირდება ინოვაციური ღონისძიებების დანერგვას ახალი ან უკვე არსებული პროდუქტების განვითარების ან გაუმჯობესების მიზნით.

7. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

შპს „ვიჯის“ მომგებიანობის მაჩვენებელი ბოლო 2 წლის განმავლობაში მეტ-ნაკლებად სტაბილურია. 2020 წლის მდგომარეობით მთლიანმა საკუთარმა კაპიტალმა 8,9 მ. ლარი შეადგინა, რაც 14%-ით მეტია 2019 წლის მაჩვენებელთან შედარებით. კომპანიის აქტივები გაიზარდა 21%-ით.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

მომგებიანობა და უკუგება

	2020	2019
საერთო მოგების მარჟა	22.67%	22.35%
საოპერაციო მოგების მარჟა	5.57%	3.52%
წმინდა მოგების მარჟა	3.88%	3.16%
უკუგება კაპიტალზე	13.03%	10.44%
უკუგება აქტივებზე	8.07%	7.04%

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები:

	2020	2019
სულ აქტივები	14,736,895	12,132,835
საოპერაციო შემოსავალი	27,945,460	24,384,549
წმინდა მოგება	1,083,963	771,689

ფინანსური მაჩვენებლების განმარტებები:

საერთო მოგების მარჟა = საერთო მოგება / საოპერაციო შემოსავალი

საოპერაციო მოგების მარჟა = საოპერაციო მოგება / საოპერაციო შემოსავალი

წმინდა მოგების მარჟა = წმინდა მოგება / საოპერაციო შემოსავალი

უკუგება კაპიტალზე = წმინდა მოგება / საშუალო მთლიანი კაპიტალი

უკუგება აქტივებზე = წმინდა მოგება / საშუალო მთლიანი აქტივები

7. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)**არაფინანსური მაჩვენებლები**

კომპანიის არაფინანსურ მაჩვენებლებში შეიძლება გამოიყოს შემდეგი:

	2020	2019
ნომენკლატურის რაოდენობა	640-ზე მეტი	700-ზე მეტი
აქტიური მომხმარებლების რაოდენობა	3,800-ზე მეტი	4,000-ზე მეტი
თანამშრომელთა რაოდენობა	153	153

8. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა და გასხვისება.

9. დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

10. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი, რის შედეგადაც იქმნება კონტროლის მექანიზმები.

კომპანია თავისი საქმიანობის პროცესში დგას საოპერაციო და ფინანსური რისკების წინაშე.

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე მნიშვნელოვან საოპერაციო რისკებში შეიძლება გამოიყოს შემდეგი რისკები:

დისტრიბუტორების/ექსპედიტორების მიერ კომპანიის კუთვნილი თანხების მითვისება - სავაჭრო წარმომადგენლებს აქვთ უშუალო შეხება დებიტორებისგან გადახდილ თანხებთან, რაც განაპირობებს თანხების დატაცების რისკს. კომპანიაში აღნიშნული რისკის შესამცირებლად შექმნილია მონიტორინგის სამსახური, რომელსაც შემუშავებული აქვს დისტრიბუტორების და ასევე, დებიტორების რეგულარული გადამოწმების კალენდარი, რომელიც მოიცავს კომპანიის ხელმძღვანელობასთან ერთად შემუშავებულ შემოწმების პროცედურებს. არაკეთილსინდისიერი სავაჭრო წარმომადგენლისგან დაზღვევას კომპანია ასევე უზრუნველყოფს მათი კუთვნილი უძრავი ქონების დაგირავებით.

პროდუქტის ხარისხის გაფუჭება - რადგან კომპანია ძირითადად ახორციელებს ტკბილეულობის დისტრიბუციას, ზაფხულის პერიოდში კომპანია დგას მარაგების გაუფასურების რისკის წინაშე. აღნიშნული რისკების შესამცირებლად კომპანია ეტაპობრივად ახორციელებს ავტოპარკის განახლებას და ისეთი სატრანსპორტო საშუალებების შესყიდვას, რომლებიც აღჭურვილია კონდენციონერით და ინარჩუნებს ტემპერატურულ რეჟიმს. აღნიშნული გზით კომპანია ასევე ახორციელებს კლიენტების პრეტენზიების შემცირებას.

თანამშრომლების ბრუნვალობა - აღნიშნული ბიზნესისთვის დამახასიათებლის სავაჭრო წარმომადგენლების მაღალი ბრუნვალობა, რაც წარმოადგენდა პრობლემას კომპანიისთვის, რადგან შესაძლოა კადრი მოულოდნელად წასულიყო დაკავებული პოზიციიდან, კომპანიას კი არ ჰყოლოდა მისი შემცვლელი კადრი. 2018 წლიდან კომპანიამ შექმნა ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება, რომელიც უზრუნველყოფს კადრების რეკრუტმენტის პროცესის ორგანიზებას - დამატებითი კადრების აყვანას და მომზადებას. კვალიფიციური კადრების შერჩევისთვის მოქმედებს სისტემა, რომელიც რამოდენიმე ეტაპადაა დაყოფილი: 1. ვაკანსიის გამოცხადება; 2. პირველადი შერჩევა CV-ს საშუალებით; 3. გასაუბრება; 4. შერჩეული კანდიდატების აყვანა 3 თვიანი გამოსაცდელი ვადით. მხოლოდ ამ ეტაპების გავლის შემდეგ ხდება კომპანიის შტატის თანამშრომელი. არსებული პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა მუდმივად ხდება კომპანიის შტატის თანამშრომელი. არსებული პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა მუდმივად ხდება სხვადასხვა ტრენინგი/სემინარების საშუალებით. თანამშრომლების მოტივაციისთვის მოქმედებს საბონუსო სისტემა და სხვა სამოტივაციო სქემები.

10. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

გლობალური რისკი COVID 19-ის სახით - შპს ვიჯი წარმოადგენს ერთ-ერთ მსხვილ იმპორტიორ და სადისტრიბუციო კომპანიას საქართველოს ბაზარზე. კომპანიას ორი ძირითადი მიმართულება აქვს : გასტორნომია და საკონდიტრო. ჩვენც, ისევე როგორც სხვა კომპანიები რიგი პრობლემების წინაშე დავდეით პანდემიისა და ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე. ყველაზე თვალსაჩინო პრობლემად არსებულ სიტუაციაში შემდეგი საკითხები გამოიკვეთა:

- **დევალაცია (გადაფასების ხარჯი)** - ეს ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორი იყო, რამაც ჩვენი როგორც იმპორტიორი კომპანიის ფინანსური დანაკარგები გამოიწვია, კომპანიის 80% შესყიდვებისა ხორციელდება დოლარში და შესაბამისად კურსის ცვლილება მტკივნეულად აისახა შესყიდვებზე.
- **ქსელური მარკეტები და ფასის ცვლილება** - კომპანიის გაყიდვების დიდი წილი მოდის ქსელურ მარკეტებზე და პანდემიის პირობებშიც სრული დატვირთვით და ყველა წესის დაცვით სწორედ ქსელური მარკეტები მუშაობდნენ, ყველა ქსელურ მარკეტთან ხელშეკრულების საფუძველზე პროდუქციაზე ფასის ცვლილების ასახვა არ ხდება მყისიერად არამედ ამისათვის გონივრული ვადა 1 თვიდან 2 თვემდეა განსაზღვრული, რაც მოგეხსენებათ ნიშნავს გადვირებული ფასით შემოტანილი პროდუქციის ძველ ფასში რეალიზაციას, რაც ასევე დანაკარგია კომპანიისთვის ფინანსური თვალსაზრისით.
- **საკანონმდებლო ცვლილებები** - განვლილი პერიოდის განმავლობაში საკმაოდ ბევრი ცვლილება შევიდა კანონმდებლობაში: გადაადგილების შეზღუდვა, ნებართვები, აუცილებელი აღჭურვილობა/ატრიბუტები ოფისისთვის (დეზოზარიერი, სადეზინფექციო სითხე, პირბადე, ხელთათმანები და ა.შ), დისტანცია სამუშაო მაგიდებს შორის, ტემპერატურის კონტროლი და სხვა. აქედან გამომდინარე კომპანიას უწევს დროის მცირე მონაკვეთში მოერგოს ცვლილებებს, იმისთვის რომ მუშაობა შეუფერხებლად გააგრძელოს. ზემო აღნიშნულმა ცვლილებებმა გავლენა იქონია ჩვენს კომპანიაზეც: მოუწია თანამშრომლების გადაყვანა დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე, რაც მუშაობის პროცესს არაეფექტურს ხდის. რეგიონებში, რომლებიც ჩაიკეტა პანდემიის დროს, შეფერხდა პროდუქციის მიწოდება, რაც თავის მხრივ აისახა დისტრიბუციაზე.

აღნიშნული უარყოფითი მხარეების მიუხედავად, ჩვენი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე საქმიანობის უწყვეტობის რისკი ნაკლებად დგას.

კომპანიას უკვე აქვს პანდემიის პირობებში სამუშაო გამოცდილება, შეუძლია სწრაფი რეაგირება შეზღუდვებზე და საკანონმდებლო ცვლილებებზე. ასევე აქვს გამოცდილება დისტანციურად სამუშაო პროცესის წარმართვაზე.

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- სავალუტო რისკი;

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

ფინანსური აქტივები, რომელთან დაკავშირებითაც კომპანიას წარმოექმნება პოტენციური საკრედიტო რისკი, წარმოადგენილია ძირითადად სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებებით, ასევე ფულადი სახსრებით და მათი ეკვივალენტებით (გარდა ნაღდი ფულისა). კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს. ფინანსური მოთხოვნების საკრედიტო ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (განმარტებითი შენიშვნა 4).

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდურობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა. ხელმძღვანელობას მიაჩნია რომ კომპანიას გააჩნია საკმარისი ლიკვიდური აქტივები მიმდინარე ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად. ფინანსური ინსტრუმენტების ლიკვიდურობის ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნაში (განმარტებითი შენიშვნა 4).

10. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

სავალუტო რისკი

ვინაიდან კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს საქართველოში მარაგების იმპორტი და დისტრიბუცია, მომწოდებლებთან ანგარიშსწორება ხორციელდება უცხოურ ვალუტაში. შესაბამისად, კომპანიის წინაშე არსებულ მნიშვნელოვან რისკებს მიეკუთვნება ეროვნული ვალუტის რყევებით გამოწვეული სავალუტო რისკები.

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკუროს სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო. საქართველოში ფინანსური ინსტრუმენტების განვითარებული ბაზრის არარსებობიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობას არ გააჩნია საშუალება მოახდინოს კომპანიის სავალუტო რისკის ჰეჯირება. ფინანსური ინსტრუმენტების სავალუტო ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (განმარტებითი შენიშვნა 4).

ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის პოლიტიკა

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად. კომპანიის საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა რისკის მართვის შესახებ.

ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების შემცირებისთვის კომპანიის რეგულარულ მომხმარებლებს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით წლის დასაწყისში უდგინდება საკრედიტო ლიმიტები, რომელიც შეტანილია პროგრამულად და გაყიდვების პერსონალს არ აძლევს მისი გადაჭარბების საშუალებას. ამით შეძლებისდაგვარად იზღუდება დებიტორული დავალიანების ზრდას; აღნიშნული პოლიტიკა ამცირებს ასევე საკრედიტო რისკებსაც. ვადაგადაცდილებული დავალიანებების ამოღების მიზნით კომპანიის მხრიდან ხდება გაფრთხილება რამდენჯერმე. რისი უგულებელყოფის შემთხვევაში კომპანია მიმართავს კანონით გათვალისწინებულ სხვა საშუალებებს, მათ შორის აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

კომპანიაში დანერგილია შიდა კონტროლის მექანიზმები, რითიც ხორციელდება ასევე საოპერაციო რისკების კონტროლი:

1. ნაღდი ფულის მოძრაობის და სალაროს ნაშთების მინიმუმამდე დაყვანა. ასევე, სალაროს ნაშთების პერიოდული გადამოწმება;
2. რეალიზაციის შემთხვევაში ფასების ცვლილების აკრძალვა საცალო ინტერფეისში;
3. ფინანსური განყოფილების მხრიდან სპეციალური რეპორტებით კონტროლი სხვადასხვა ჭრილში. მაგ.: თვითღირებულებაზე დაბალი ფასით ან დაბალი მარჟით გაყიდვების შემთხვევების გადამოწმება;
4. მარაგების პერიოდული ინვენტარიზაციები;
5. დებიტორ-კრედიტორებთან მოთხოვნა-ვალდებულებების კონტროლი.

კომპანიის ხელმძღვანელობის სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 17 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი: _____ / დ.ქალდანი /

ფინანსური დირექტორი: _____ / მ.გელაძე /

შპს „ვიჯი“

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

10. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

სავალუტო რისკი

ვინაიდან კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს საქართველოში მარაგების იმპორტი და დისტრიბუცია, მომწოდებლებთან ანგარიშსწორება ხორციელდება უცხოურ ვალუტაში. შესაბამისად, კომპანიის წინაშე არსებულ მნიშვნელოვან რისკებს მიეკუთვნება ეროვნული ვალუტის რყევებით გამოწვეული სავალუტო რისკები.

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკუროს სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო. საქართველოში ფინანსური ინსტრუმენტების განვითარებული ბაზრის არარსებობიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობას არ გააჩნია საშუალება მოახდინოს კომპანიის სავალუტო რისკის ჰეჯირება. ფინანსური ინსტრუმენტების სავალუტო ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში (განმარტებითი შენიშვნა 4).

ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის პოლიტიკა

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად. კომპანიის საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა რისკის მართვის შესახებ.

ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების შემცირებისთვის კომპანიის რეგულარულ მომხმარებლებს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით წლის დასაწყისში უდგინდება საკრედიტო ლიმიტები, რომელიც შეტანილია პროგრამულად და გაყიდვების პერსონალს არ აძლევს მისი გადაჭარბების საშუალებას. ამით შეძლებისდაგვარად იზღუდება დებიტორული დავალიანების ზრდას; აღნიშნული პოლიტიკა ამცირებს ასევე საკრედიტო რისკებსაც. ვადაგადაცილებული დავალიანებების ამოღების მიზნით კომპანიის მხრიდან ხდება გაფრთხილება რამდენჯერმე. რისი უგულებელყოფის შემთხვევაში კომპანია მიმართავს კანონით გათვალისწინებულ სხვა საშუალებებს, მათ შორის აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

კომპანიაში დანერგილია შიდა კონტროლის მექანიზმები, რითიც ხორციელდება ასევე საოპერაციო რისკების კონტროლი:


1. ნაღდი ფულის მოძრაობის და სალაროს ნაშთების მინიმუმამდე დაყვანა. ასევე, სალაროს ნაშთების პერიოდული გადამოწმება;
2. რეალიზაციის შემთხვევაში ფასების ცვლილების აკრძალვა საცალო ინტერფეისში;
3. ფინანსური განყოფილების მხრიდან სპეციალური რეპორტებით კონტროლი სხვადასხვა ჭრილში. მაგ.: თვითღირებულებაზე დაბალი ფასით ან დაბალი მარჟით გაყიდვების შემთხვევების გადამოწმება;
4. მარაგების პერიოდული ინვენტარიზაციები;
5. დებიტორ-კრედიტორებთან მოთხოვნა-ვალდებულებების კონტროლი.

კომპანიის ხელმძღვანელობის სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 17 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:

ფინანსური დირექტორი:



/ დ.ქალდანი /

/ მ.გელაძე /